# მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

KA990163611666817

№ **1085**-ს

**08** / ივნისი / **2017** წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## მცხეთა, სოფ. ბიწმენდის ტერიტორიაზე, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, #1 შენობის დემონტაჟისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და დემონტაჟის ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის; ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის; „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მამუკა ბერიძის მომართვის (MES 0 17 00431447), სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის მამუკა ჩაჩანიძის წერილის (# 11/25326, 25.05.2017წ.), სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლის დირექტორის ნინელი მამულაშვილის მომართვის (MES 3 17 00480130, 08.05.2017წ.) და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ჩაითვალოს შეთანხმებულად, მცხეთა, სოფ. ბიწმენდის ტერიტორიაზე, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, №1 შენობის დემონტაჟისათვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

საკადასტრო კოდი - 72.04.01.145.

მიწის ნაკვეთის ფართობი - 4142.00 მ$^2$

№1 შენობის მაქსიმალური ზომებია - 29.55 მ X 10.10 მ.

2. გაიცეს დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს დემონტაჟის სანებართვო მოწმობა.

3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 7 ივნისიდან 2017 წლის 7 სექტემბრამდე (3 თვე).

4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).



გამგეზელი

ზურაბი აბესაძე